სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის წლიური ანგარიში

2017 წელი

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა 2017 წელს 12 კვლევითი პროექტი განახორციელა, რომლებიც მოიცავდა შემდეგ სფეროებს:

- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ინფრასტრუქტურა;
- სოფლის მეურნეობა;
- ახალგაზრდობა;
- განათლება;
- სამართალი;
- ტურიზმი და მიგრაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ISSA-მ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით 3 კვლევითი პროექტი განახორციელა. თამბაქოს მოხმარების მიმართ მოსახლეობის განწყობების კვლევა ISSA-მ თამბაქოს კონტროლის ჩარჩო - კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის (FCTC) დაკვეთით ჩაატარა. რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის გამოცდილებისა და დამოკიდებულებების კვლევა თამბაქოს მოხმარებასთან და არალეგალურ/კონტრაბანდულ სიგარეტებთან დაკავშირებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი და ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა 3000 რესპონდენტი.

საზოგადოების აზრის კვლევა საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC) დაკვეთით ჩაატარა. რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო ახალი საპენსიო რეფორმის მოდელების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა; იმის დადგენა, თუ რამდენად პასუხობს ახალი საპენსიო სისტემა მოქალაქეების სოციალურ–პოლიტიკურ, ღირებულებით და სახელმწიფოებრივ პოზიციას. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგდენდა საქართველოს (თბილისი და ყველა რეგიონი) მოსახლეობა, რომელთა ასაკი 18 წელი და მეტია. შერჩევის საბოლოო მოცულობა განისაზღვრა 1000 რესპონდენტით. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები გამოიკითხნენ პირისპირ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

შშმ ბავშვების, მათი ოჯახების და მზრუნველობის დღის ცენტრების საჭიროებები, სოციალური კვლევისა და ანალიზის ისნტიტუტმა, შეისწავლა ორგანიზაცია - „ბავშვი, ოჯახი, საზოგაოდების“ დაკვეთით. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა, როგორც

რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სიღრმისეულად მოხდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ბავშვთა დღის ცენტრების, მათი ბენეფიციარებისა და ოჯახების საჭიროებების გამოვლენა, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო საქართველოში მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრების, მათი ბენეფიციარებისა და ოჯახების საჭიროებათა გამოვლენა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 24 სიღრმისეული ინტერვიუ და 12 ფოკუს ჯგუფი, ხოლო რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, დღის ცენტრებში გამოიკითხა ადმინისტრაციის თანამშრომლები, მასწავლებლები, ბენეფიციარები და მათი მშობლები, ჯამში 450 რესპონდენტი.

<u>ინფრასტრუქტურა</u>

ინფრასტრუქტურის მიმართულებით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი ახორციელებს კვლევას „IRD engineering" - ის დაკვეთით, რომლის მიზანიც არის საქართველოში, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შეფასება. პროექტის ფარგლებში ფასდება 40-ზე მეტი ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტი, როგორიცაა საბავშვო ბაღები, ხიდები, გზები, სპორტული კომპლექსები, საზოგადოებრივი ცენტრები და ა.შ. პროექტის განხორციელება დაიწყო 2016 წელს და დასრულდება 2019 წელს.

<u>სოფლის მეურნეობა</u>

სოფლის მეურნეობის სფეროში, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა, ორგანიზაცია „Bridge innovation – development" -ის დაკვეთით განახორციელა თვისებრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში ახალგაზრდების ჩართულობის შესწავლა საქართველოში. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სამი მეთოდი - ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სამაგიდე კვლევა. ჯამში ჩატარდა 11 ფოკუს ჯგუფი და 5 ექსპერტული ინტერვიუ. სამაგიდე კვლევის მიზანი იყო ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და დონორი ორგანიზაციების (ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ) შესწავლა და მათი „მეფინგი";

აღნიშნული კვლევა, სოფლის მეურნეობის გარდა, ეხებოდა ახალგაზრდობის საკითხებსაც. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევა ფოკუსირებული იყო სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებზე, მათ ჩართულობის შესაძლებლობების დადგენაზე სოფლის მეურნეობის განვითარების ჭრილში.

<u>ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები</u>

ახალგაზრდობასთან დაკავშირებით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა, 2017 წელს, კიდევ ერთი სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა საერთაშორისო ორგანიზაცია Hedayah-ს დაკვეთით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა არის ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მოწყვლადობის რისკ-ფაქტორები საქართველოს ახალგაზრდებში და რომელი (ქვე)ჯგუფია ყველაზე მოწყვლადი. სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კლვევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში პირისპირ ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა 1145

რესპონდენტი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები - ჯგუფური ინტერვიუ; ჩაღრმავებული ინტერვიუ და დისკურსის ანალიზი. სამიზნე ჯგუფრბს წარმოადგენდნენ 18-29 წლის ახალგაზრდები, საჯარო სკოლების, აგრეთვე, რელიგიური სკოლა-პანსიონების მოსწავლეები და მასწავლებლები.

განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ISSA-მ განახორციელა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული ორი პროექტის - ინკლუზიური სწავლების განხორციელებისა და ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი. მონიტორინგის ფარგლებში, კვლევითი მიზნების მისაღწევად, ორგანიზაციამ გამოიყენა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოკითხვამ (პირისპირ ინტერვიუს გზით) მოიცვა 106 საჯარო სკოლა (რომლებიც თანაბრად განაწილდა თბილისსა და რეგიონებში). თვისებრივი კვლევის ფარგლებშივე განხორციელდა შემთხვევის შესწავლა (case study), რომელიც 10 მოსწავლის შემთხვევის შესწავლას გულისხმობდა. კვლევის პროცესში განხორციელდა იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის ეფექტურობაზე.

სამართალი

2017 წელს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად განიხილებოდა საკონსტიტუციო ცვლილებები. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკვეთით, "სოციალური კვლევისა და ანალიზიის ინსტიტუტმა" განახორციელა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო საქართველოს მოსახლეობა (18 წლის და მეტი). პირისპირ ინტერვიუს მეთოდით სულ გამოიკითხა 1500 რესპონდენტი თბილისსა და რეგიონებში (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი).

ტურიზმი და მიგრაცია

ტურიზმისა და მიგრაციის მიმართულებით ISSA-მ 2017 წელს სამი სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა; ამათგან ორი კვლევის ჩატარების შესაძლებლობა ISSA-ს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად მიეცა. პროექტის - „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრის და მიგრაციის მართვის მიმართულებით" - შეფასების ფარგლებში, გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები. მთლიანობაში ჩატარდა 10 ექსპერტული ინტერვიუ, 7 ჯგუფური ინტერვიუ და 4 ფოკუს ჯგუფი. IOM-ის დაკვეთით ჩატარებული მეორე სოციოლოგიური კვლევის მიზანი იყო ტურისტთა კმაყოფილების ხარისხის შესწავლა სასაზღვრო გამშვები პუნქტების მომსახურების მიმართ. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის

მეთოდი - პირისპირ ინტერვიუ. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 3 000 რესპონდენტი საქართველოს 6 სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე - საერთაშორისო აეროპორტებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) და სახმელეთო სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე (სარფი, წითელი ხიდი და სადახლო).

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ (PA) დაკვეთით ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინდივიდუალური ეკონომიკური ინტერესებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შესწავლა და მათი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გამოვლენა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრები საერთაშორისო დაცვის მქონე ლტოლვილების კეთილდღეობის ამაღლებაზე მიმართული აქტივობების განხორციელებას და მათი სოციალიზაცია-ადაპტაციის პროცესს. კვლევაში გამოყენებულ იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი და მონაწილეობა მიიღო 12 სხვადასხვა ეროვნების 212 რესპონდენტმა. გამოსაკითხთა ერთობლიობა გადანაწილდა საქართველოს 9 ადმინისტრაციულ ერთეულში.

<u>ადგილობრივი თვითმმართველობა</u>

ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით. 2017 წლის ზაფხულში, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა განახორიცელა რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო ქ. თბილისის მოსახლეობის საჭიროებების შეფასება, რაც შემდგომში დაეხმარება საჭიროებების შესაბამისი ბიუჯეტის ფორმირებას, ხოლო ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე მიმართული აქტივობების განხორციელებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით, კერძოდ, პირისპირ ინტერვიუს გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქ. თბილისის 10 რაიონის საარჩევნო ასაკის (18 წლის და ზემოთ) მოსახლეობა, ხოლო შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა მთლიანობაში შეადგინა 3000 რესპონდენტი.

<u>სხვა აქტივობები</u>

კვლევითი პროექტების გარდა, 2017 წელი აღსანიშნავი იყო ორგანიზაციის განვითარების და გაფართოების თვალსაზრისითაც. ISSA-მ 2017 წელს შეიცვალა სამუშაო ოფისი, რომელიც ორგანიზაციას სამომავლოდ აძლევს საგანმანათლებლო მიმართულებით გააქტიურების შესაძლებლობას. აგრეთვე, სულ მალე დასრულდება ახალი ვებ-გვერდის დამზადება, რომელიც თავისი რესურსებითა და შინაარსით სასარგებლო იქნება როგორც სოციალურ მეცნიერებებში მომუშავე პირებისთვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის.

სოციალური კვლევისა და ანალიზის
ინსტიტუტის თავმჯდომარე,
იაგო კაჭკაჭიშვილი